საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მემნონი

მემნონი (Memnōn) (ძვ. წ. I-ის ბოლო ან ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნა), ბერძენი ისტორიკოსი. წარმოშობით იყო ჰერაკლეადან. მისი მრავალტომიანი ნაშრომიდან „ჰერაკლეის ისტორია“ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ IX–XVI წიგნებმა, რ-ებიც შესულია კონსტანტინოპოლის პატრიარქ ფოტიოსის თეოლოგიურ ნაშრომში „ბიბლიოთეკა“. შემონახულ წიგნებში გადმოცემულია ჰერაკლეის ისტორია ძვ. წ. IV ს-იდან ძვ. წ. I ს-მდე (იულიუს კეისრის ხანამდე). მეცნიერები (თ. რეინაკი, თ. მომზენი, მ. ი. როსტოვცევი და სხვ.) მ-ს სანდო ავტორად მიიჩნევენ. საქართველოს ისტორიის შემსწავლელთათვის საყურადღებოა ქრონიკის ის ნაწილი, სადაც მოთხრობილია *მითრიდატე VI* ევპატორის მიერ რომის წინააღმდეგ ომებთან დაკავშირებული პერიპეტიები. მითრიდატეს მოკავშირეთა შორის დასახელებულია იბერიის მეფე არტოკე, იგივე არტაგი. ამბები საყურადღებოა თავდაპირველად მითრიდატე VI-ის ვაჟის, მახარეს პოლიტიკის დახასიათების თვალსაზრისით და შემდეგ სანიგების და ლაზების დასახელებით. სხვა ავტორებისგან განსხვავებით, მ. კოლხების მეფედ მახარეს მიიჩნევს და არა მის ძმას მითრიდატე უმცროსს. . სანიგები (იგივე სანები) და ლაზები ანტ. წყაროებში არაერთგზის იხსენიებიან, მაგრამ ქრონოლოგიურად პირველია მ. (პლინიუსი, კლავდიოს პტოლემიოსი, არიანე, ლუკიანე გვიანდელი ავტორები არიან). იგი სანიგებისა და ლაზების საცხოვრისის გასარკვევად კარგ მასალას გვაწვდის: ასახელებს პონტოს უკიდურეს აღმ. მხარეს, რაც ბერძნებისათვის ევქსინის ყურეა დიოსკურიასთან. ე. ი. მითრიდატეს ომების დროს ეს ტომები ცხოვრობენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტ-ზე. მ-ის ისტორიაში კარგადაა ასახული შავი ზღვის სამხრ. და ჩრდ. სანაპიროს ურთიერთობის ამბავიც.

ლიტ.: ვ ა შ ა კ ი ძ ე ვ., მემნონის ერთი ცნობა და ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი, კრ. საისტორიო - წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ;

2014, ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., მემნონის „ჰერაკლიეს ისტორიის“ ცნობები საქართველოს შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1967 ნაკვ. 34, მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976; მ ი ს ი ვ ე , ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ. [წგ.] თბ., 1987; Jacoby F., Die Fragmente der Griechischen Historiker, Leiden, 1950; Photius, Bibliothèque. Texte établi et traduit par René Henry, Tome VI, Paris, 1959–71;

თ. ყაუხჩიშვილი